2. საჭიროა წარმოდგენილ იქნას გრგ-ს შესაბამისად ფუნქციური გადანაწილებით ანგარიში მთლიანი ნაკვეთისათვის (სხვა საპროექტო ბლოკებით გათვალისწინებული ფუნქციების გადანაწილებისა და შესაბამისი პროცენტულობის მითითებით). გათვალიწინებულ იქნას უკვე დამტკიცებული არქიტექტურული პროექტები.

· განიმარტოს მინიმალური ავტოსადგომების თაობაზე საპროექტო ობიექტისათვის და წარმოდგენილ იქნას შესაბამისი ანგარიში.

შეთანხმებული გრგ-ს მიხედვით ფუნქციების გადანაწილება ხდება 75/25 % (საცხოვრებელი/საზოგადოებრივი). I ბლოკში საზოგადოებრივი ფუნქცია არის 1,9%, II ბლოკში - 5,2 %, ცალკე მდგომ (შეთანხმებულ) კომერციულ ფართს ეკუთვნის 0,8% ხოლო დანარჩენი საზოგადოებრივი ფუნქცია 17,1% განთავსდება III ბლოკში.

3. წარმოდგენილი ავტოსადგომების ანგარიშიდან გამომდინარე, ვინაიდან ამჟამინდელი დოკუმენტაციით ვერ ხდება ავტოსადგომების აუცილებელი მინიმალური რაოდენობის გათვალისწინება, საჭიროა წარმოდგენილ იქნას სქემა სად და როგორ გადანაწილდება/დაკმაყოფილდება ამ და დანარჩენი ბლოკების აუცილებელი ავტოსადგომების განთავსება. აღნიშნულ სქემაზე უნდა დაინომროდ ყველა ავტოსადგომი და მიეთითოს რომელი ბლოკის ავტოსადგომს წარმოადგენს თითოეული მათგანი.

შეთანხმებული გრგ-ს მიხედვით საცხოვრებელი ფუნქციისთვის გათვალისწინებულია 170 საპარკინგე ადგილის მოწყობა, საიდანაც 105 პარკინგი განთავსებულია ეზოში, ხოლო 65 ადგილი II და III ბლოკების ქვეშ. (40 800 -ის 75 % = 30 600 / 180 = 170)

საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

25/12/2023

MIA 6 23 03796317

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის-
III-IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
(განყოფილების უფროსი)(მოვალეობის შემსრულებელი)
ქალბატონ **თამარ ჩინჩალაძეს**

ქალბატონო თამარ,

თქვენი 2023 წლის 21 დეკემბრის №60-01233552887 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის №71-ში და მატროსოვის ქ. №7-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.17.12.005.064) ასაშენებელი მრავალფუნქციური კომპლექსის I ბლოკის შენობის არქიტექტურულ და ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების პროექტებზე საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2023 წლის 24 აპრილის N MIA72301148148 წერილით გაიცა შესაბამისობის დასკვნა. ამჟამად განხორციელებული კორექტირებით (კორექტირება ითვალისწინებს შემდეგს: განაცხადში შეტანილი ცვლილება ეხება მხოლოდ II, III და IV სართულებზე განთავსებულ საოფისე ფართებს, რომელიც იცვლება საცხოვრებელი ფართებით) არ დარღვეულა სახანძრო უსაფრთხოების წესების მოთხოვნები.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
კუჭაშვილი დავითი

საქართველო, 0114, თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №83ა
ტელ: (+995 032) 2 41 44 79
ელ. ფოსტა: info@es.gov.ge

№83a, V. Gorgasali str. Tbilisi, 0114, Georgia
Tel: (+995 032 2 41 44 79
E-mail: info@es.gov.ge